შპს შპს მიოილ

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მისაქციელი ს/კ 72.03.31.120 თხევადი გაზის საცავის პროექტის

სკრინინგის ანგარიში

2022

დამკვეთი: შპს მიოილ ს/ნ 436046084

მისამართი: მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელი მისაქციელი

საკადასტრო კოდი: 72.03.31.120

პროექტი: თხევადი გაზის საცავის პროექტი

ტერიტორიის კოორდინატები:

WGS84

Decimal degree *41.932267, 44.709021*

UTM: 38T 475876.261 4642296.887

შემსრულებელი: *გექა გერძენიშვილი*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8088
22/12/2022

8088-21-2-202212221257

შპს „მიოილ"-ს
მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. მისაქციელი
ელ. ფოსტა: mebagemebage@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6208 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში ნავთობპროდუქტების საცავის (გაზგასამართი სადგურის) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილო–აღმოსავლეთით, დაახლოებით 552 მეტრში ფიქსირდება მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.03.35.088), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ შპს „მიოილ" საქმიანობას ახორციელებს 2020 წლის 5 თებერვლიდან. ამასთან, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია ოთხი ერთეული, თითოეული 49 ტ. მოცულობის (ჯამურად 196 ტ.) თხევადი აირის შესანახი რეზერვუარი. ხოლო, სკრინინგის განცხადებაზე დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 18 ცალი, თითოეული 54 $მ^3$ მოცულობის (ჯამურად 972 $მ^3$) მქონე რეზერვუარების განთავსება. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, შესაბამისობაში მოყვანას და სკრინინგის განცხადებაში ასახვას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 7.4 თავში მითითებულია, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია მიწისქვეშა ავზები. ხოლო, ამავე თავში აღნიშნულია, რომ „დამონტაჟდება თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზების ნაგებობა." გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება

წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით. ასევე, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს რეზერვუარების განთავსების (სარეზერვუარო პარკის) GPS კოორდინატები;

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების და სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში, მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განლაგებულია საწარმოო ობიექტები, დასახლებული უახლოესი პუნქტიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კილომეტრით, ყველა ეს ფაქტორი ხელისშემწყობია დაბინძურებისთვის“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ხარვეზის შესახებ

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 1 კმ-ით. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილო–აღმოსავლეთით, დაახლოებით 552 მეტრში ფიქსირდება მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.03.35.088), მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;

ხარვეზის პასუხი:

პროექტის მიხედვით შეფასდა ობიექტის გარემო პირობები, ასევე დადგინდა კვლევის ობიექტის მიმდებარე ტერიტორია. დადგინდა რომ ობიექტი მდებარეობს სამრეწველო ზონაში. ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა მოხდა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგონტოს მონაცემებით, რუკის და საკადასტრო კოდების მიხედვით. დადგინდა რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი რომლის მონაცემებიც საჯარო რეესტრის და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში ფიქსირდება ობიექტიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.(დანართი თანდართულია სკრინინგის ანგარიშში) საკადასტრო კოდის 72.03.35.088 ტერიტორიაზე ორთგრაფიული ტოპოს მიხედვით ფიქსირდება ნაგებობა, პროექტის მიმდინარეობისას საჯარო რეესტრის მონაცემებით საკადასტრო კოდის ნაკვეთის ფართობი არის 3800 კვმ ნაკვეთის მესაკუთრე არის თეონა ჰერტერი 01003005477. ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა ნაგებობა, თუმცა ადგილობრივ მუნიცილიტეტსა და საჯარო რეესტრში გადამოწმებულ ინფორმაციის მიხედვით, ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა ვერ იქნა მოძიებული, შესაბამისად წარმოდგენლ რუკაზე დატანილია მაძილის მაჩვენებელი ნიშანი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე და მაძნილი საკადასტრო კოდის 72.03.35.088. ტერიტორიამდე. (რომლის ფუნქციონირება გაურკვეველია.)

- მიმდინარე წლის 19 დეკემბერს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ შპს „მიოილ“ საქმიანობას ახორციელებს 2020 წლის 5 თებერვლიდან. ამასთან, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია ოთხი ერთეული, თითოეული 49 ტ. მოცულობის (ჯამურად 196 ტ.) თხევადი აირის შესანახი რეზერვუარი. ხოლო, სკრინინგის განცხადებაზე დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 18 ცალი, თითოეული 54 $მ^3$ მოცულობის (ჯამურად 972 $მ^3$) მქონე რეზერვუარების განთავსება. ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, შესაბამისობაში მოყვანას და სკრინინგის განცხადებაში ასახვას;

ხარვეზის პასუხი:

სკრინინგის ანგარიშის დანართი წარმოადგენს ობიექტის პროექტს სადაც გათვალისწინებულია 18 ცალი, თითოეული 54$მ^3$ მოცულობის (ჯამურად 972$მ^3$) მქონე რეზევუარების განთავსება. ამ ეტაპზე არსებული მდგომარეობით განთავსებულია 4 ერთეული 49 ტ. მოცულობის რეზერვუარი. დამკვეთის მოთხოვნით პროექტში ასახული რეზერუარების დამონტაჟება მოხდება დამკვეთის

მითითებით. პროექტი მიმდინარეა, პროექტის შესაძლებელია რეზერუვარების დამონტაჟება განხორციელდეს პროექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, გახნხორციელებული ღონისძიება იქნება პროექტის მიხედვთ. სკრინინგის ანგარიშში ხარვეზის მიხედვით მოხდა ცვლილება და გაიმიჯნა (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) . (დანართი 1 ის სახით წარმოდგენილია მშენებლობის გაგრძელების დოკუმენტი.)

- **სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 7.4 თავში მითითებულია, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია მიწისქვეშა ავზები. ხოლო, ამავე თავში აღნიშნულია, რომ „დამონტაჟდება თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზების ნაგებობა.“ გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის (განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები) გათვალისწინებით. ასევე, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს რეზერვუარების განთავსების (სარეზერვუარო პარკის) GPS კოორდინატები;**

ხარვეზის პასუხი

7.4 თავში განმარტებულია ნიადაგის საფარის შესახებ, სადაც ნაგულისხმებია რეზერვუარების განთავსების დღევანდელი მდგომარობის ინფორმაცია და ასევე პროექტის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიება. ხარვეზის მითითებით ინფორმაცია წარმოგენილია შესაბამისი განმარტებით. ასევე დანართის სახით წარმოდგენილია (სარეზერვუარო პარკის) GPS კოორდინატები;

- **დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების და სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;**

ხარვეზის პასუხი

სკრინინგის ანგარიშის დანართში წარმოდგენილია დამატებითი პროექტი. საკანალაზაციო ჭის მოწყობის შესახებ. ტერიტორიაზე მოეწყობა საკანალიზაციო ჭა სადაც საპირფარეშო და გამოყენებულ ტექნიკური წყლის ჩადინება, სანიაღვრე წყლებთან დაკავშირებით ირკვევა რომ ობიექტის საქმიანობა არ ქმნის ისეთ გარემოებას რის საფუძველზეც შესაძლოა წარმოიქმნას წყლის დაგუბება და მისი ერთობლიბად გადინება, შესაბამისად სანიაღვე წყალი რომლიც შესაძლოა ტერიტორიაზე მხოდეს წვიმის წყლისგან, მოხდება მისი გრუნტში გაჟღინთვა როგორც ეს ხდებოდა ტერიტორიაზე ობიექტის აშენებამდე.

- სკრინინგის განცხადებაში, მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განლაგებულია საწარმოო ობიექტები, დასახლებული უახლოესი პუნქტიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კილომეტრით, ყველა ეს ფაქტორი ხელისშემწყობია დაბინძურებისთვის“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;

ხარვეზის პასუხი

სკრინინგის განცხადებაში წინადადება განმარტებულია იმით რომ ობიექტი მდებარეობს სამრეწველო ზონაში, შესაბამისად ობიექტი ვერ დააბინძურებს არსებულ გარემოს, იმის გათვალისწინებით რომ სამრეწველო ზონა სხვა (რეკრეაციულ საცხოვრებელ) ზონაბთან შედარებით იწვევს მცირე დოზით გარემოს გარკველ წილ დაბინძურებას, შესაბამისად ობიექტის საქმიანობა ვერ შეცვლის გარშემო ტერიტორიის მდგომარეობას დაბინძურების კუთხით.

შპს ‘‘მიოლი’’

მცხეთის მინიციპალიტეტი სოფელი მისაქციელი ს/კ 72.03.31.120 თხევადი გაზის საცავის

სკრინინგის ანგარიში

თბილისი 2022

სარჩევი

1.შესავალი 4

2. პროექტის შესახებ 4

2.1 წყალი 5

2.2 ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა 5

2.3 ეკონომიკური და სოციალური საქმიანობა..... 6

3. ობიექტის შესახებ 6

3.1 **განსახორციელებელი ღონისძიებები.....6**

4. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა 7

5. ბუნებრივი გარემო 8

5.1 გეოგრაფია..... 8

5.2 ნიადაგი 8

5.3 კლიმატი 8

5.4 გეოლოგია..... 8

6. სოციალური გარემო..... 9

7. გარემოზე მოსალონდელი ზემოქმედების რისკების შესახებ. 10

7.1. ზოგადი დახასიათება 10

7.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება..... 10

7.3 ხმაურისა და ვიბრაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება..... 14

7.4 ნიადაგზე უარყოფითად ზემოქმედების რისკი 14

7.5 ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი..... 15

7.6 ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე..... 16

7.7 ნარჩენების მართვა..... 16

7.8 უარყოფითი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე 17

7.9 ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები..... 17

8. დასკვნა 19

1. შესავალი

ანგარიში შეეხება, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მისაქციელი ს/კ 72.03.31.120 საკადასტრო კოდის ტერიტორიაზე თხევადი გაზის საცავი გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში შეეხება საკვლევი არეალის ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის და პროექტის განხორციელებით გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელ უარყოფით ზემოქმედების წინასწარ შეფასებას და მათზე განსახორციელებელ შემრბილებელ ღონისძიებებს.

2. პროექტის შესახებ

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი ს/კ 72.03.31.120 მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მისაქციელის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნატახტარი-წილკანი-მუხრანის საავტომობილო გზიდან ჩრდილოეთით სოფელ ახალუბნის მიმართულებით 352 მეტრში, ქალაქ მცხეთიდან 9.8 კმ მანძილზე, საპროექტო წინადადებით განსაზღვრულია ,,972მ3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავის“ განთავსება. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულია საწარმოოფუნქციის განაშენიანება და განთასვებულია საწარმოო დანიშნულების შენობა- ნაგებობები და შესაბამისი ობიექტები, განაშენიანება განვითარებულია და ვითარდებათანამედროვე ტიპის საწარმოო-სამრეწველო ინფრსასტუქტურის მოწყობით. ,,972მ3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავი“-ს პროცედურის განსახორციელებლად გათვალისწინებული სავალდებულო შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და დანადგარები: 1. გნა-ს ავტოცისტერნის მიმღებ-გამცემი ესტაკადა; 2. მიმღებ-გამცემი მილსადენი; 3. პროდუქტის გადასატვირთი სატუმბო სადგური (1ც ტუმბო, 1ც-კომპრესორი); 4. გნა-ს შესანახი მიწისქვეშა სარეზერვუარო პარკი (18ც, თითოეული 54მ3 მოცულობის, ორ რიგად

განთავსებული, ქარხნული წესით დამზადებული, თხევადი გაზის, ჰორიზონტალური ტიპის, მუშა წნევით 16 ბარი, რეზერვუარი); 5. სახანძრო წყლის სამარაგო რეზერვუარი (2ც -50მ3) მოცულობის ჰორიზონტალური, მიწიზედა რეზერვუარები, ჯამური მოცულობით 100მ3); 6. სახანძრო სატუმბო (1ც-მუშა და 1ც- სათადარიგო ტუმბო)**საპროექტო ტუმბოების წარმადობა არის 40 მ3 /სთ** 8. მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორი (80კვტ); 9. ალტერნატიული დიზელგენერატორი (15კვტ); 10. პერიმეტრისა და ტერიტორიის განათება; 11. ერთსართულიანი საოფისე და ელ.გამაწილებელის შენობა (სადაც გათვალისწინებული იქნება სახანძრო მაუწყებლები); 12. დაცვის ოთახი; 13. მთავარ გზიდან ობიექტამდე მისასვლელი გზა არის გრუნტის, რომელზეც პერიოდულად უტარადება მოხრეშვითი სამუშაოები ასევე გათვალისწინებულია შიდა საობიექტო სტანდარტული საავტომობილო გზები (სახანძრო ტექნიკის მისასვლელად); ობიექტის დაპროექტებისას გამოყენებულ იქნა, საქართველოში მოქმედი „ПБ 03-110- 96“. რომლის შესაბამისად დაცულია როგორც შიდა უსაფრთხოება (სარეზერვუარო პარკსა და სხვა, შიდა ტექნოლოგიურ შენობა-ნაგებობამდე და მოწყობილობებამდე), ისე გარე უსაფრთხოება 150მ-ს რადიუსში, სადაც არ არის განთავსებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები.

2.1 წყალი - პირველ ეტაპზე საყოფაცხოვრებო და ტექნიკური გამოყენებისთვის მოხდება წყლის შესყიდვა, წყლის შესყიდვას ექნება სისტემატიური და სტაბილური სახე, სისტემატიურად იქნება შევსებული წყლის და სახანძრო რეზერუარები, ტერიტორიაზე საჭირო წყლის მარაგი არ შემცირდება. შემდეგ ეტაპზე ტერიტორიაზე გაკეთდება წყლის ჭაბორღილი საიდანაც მოხდება ტერიტორიაზე არსებული ავზების შევსება და მომარაგება.

2.2 ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა

ტერიტორიაზე განხორციელებული ღონისძიება: ამ ეტაპზე ტერიტორიაზე არის: დაცვისა და მძღოლების მოსასვენებლი სახლი - 107.8 კვმ; თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზების ნაგებობა - 806,6 კვ.მ; სახანძრო რეზერვუარი, სახანძრო სატუმბი - 110,4 კვ.მ; საავტომობილო სასწორი - 73.5 კვ.მ; კომპრესორი და ტუმბო - 22,5 კვ.მ; სამართავი პულტი -11,6 კვ.მ; ტრანსფორმატორი, დიზელის გენერატორი - 16,3 კვ.მ; თხევადი გაზის მისაღები და გასაცემი პუნქტი 28,1 კვ.მ; ავტოსადგომი - 95 კვ.მ; ღობე -71,4 კვ.მ

გამწვანებული ფართობი -1000 კვ.მ. ტერიტორიაზე არის მთავარი გზიდან ობექტქმდე მისასვლელი გრუნტის გზა, რომელიც ამ ეტაპზე არის გასწორებული და მოხრეშილი.

დაგეგმილი ღონისძიებები: დაგეგმილია გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოს ჩატარება, ამ ეტაპზე მთავარი გზიდან ობიექტამდე გაყვანილია გრუნტის გზაზე რომელიც არის მოხრეშილი, დაგეგმილია მასზე ასფალტის საფარის დაგება.

2.3 ეკონომიკური და სოციალური საქმიანობა

გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების წლიური რეალიზაცია: 1500 2000 ტონამდე

დასაქმებულთა რაოდენობა: პირველ ეტაპზე 10 ადამიანი, რომლის გაზრდა მოხდება 15 ადამიანამდე.

3. ობიექტის შესახებ

ფუნქციური ზონირება - მიწის ნაკვეთი ს/კ 72.03.31.120

ფუნქციური ზონა - ინდუსტრიული ზონა (იზ);

ინდუსტრიული ზონის ქვეზონა - საწარმოო ზონა (იზ-1); -

განაშენიანების რეგულირების დადგენილი პარამეტრები:

კ-1 კოეფიციენტი და კ-2 – კოეფიციენტი შეზღუდული არ არის.

კ-3 კოეფიციენტი - 0.2.

3.1განსახორციელებელი ღონისძიებები

1 გზა - დღეისთვის ტერიტორიაზე არის მისასვლელი გრუნტის გზა, დაგეგმილია მისი გასწორება და შემდგომ მოასფალტება. ასევე კეთდება შიდა ტერიტორიაზე მისასვლელი გზები.

2. წყალი - პირველ ეტაპზე საყოფაცხოვრებო და ტექნიკური გამოყენებისთვის მოხდება წყლის შესყიდვა, წყლის შესყიდვას ექნება სისტემატიური და სტაბილური სახე, სისტემატიურად იქნება შევსებული წყლის და სახანძრო რეზერუარები, ტერიტორიაზე საჭირო წყლის მარაგი არ შემცირდება. შემდეგ ეტაპზე ტერიტორიაზე გაკეთდება წყლის ჭაბორღილი საიდანაც მოხდება ტერიტორიაზე არსებული ავზების შევსება და მომარაგება.

4. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

გნა გადატვირთვის ყველა ოპერაცია ხორციელდება ცირკულარული ტუმბოებითა და კომპრესორების მეშვეობით. ტუმბოები გადატვირთავენ გნა-ს თხევად ფაზას, კომპრესორები კი ორთქლისას, რითაც „გამოწურავენ“ პროდუქტს ერთი ჭურჭლიდან მეორეში. გნა-ს ტრანსპორტირდება მილსადენებით როგორც თხევად, ისე გაზის (აირის) ფაზაში. როდესაც ჭურჭლებს შორის შეერთება იხსნება, გნა-ს თხევადი ფაზა იწყებს დენას პროდუქტის მაღალი დონის ჭურჭლიდან უფრო დაბალი დონის ჭურჭელში მანამდე, ვიდრე პროდუქტის დონე ორივე ჭურჭელში არ გათანაბრდება, ამის შემდეგ ნაკადი შეწყდება. დასაცლელ რეზერვუარში წნევის შექმნით, შესაძლებელია სითხის უფრო სწრაფად გამოდევნა შესავსებ რეზერვუარში. ამის მიღწევა შესაძლებელია შესავსები რეზერვუარიდან გაზის (აირის) გადატვირთვით, კომპრესორით შეკუმშვით და წნევის ქვეშ დასაცლელ რეზერვუარზე მიწოდებით. ეს პროცესი თანდათანობით ამცირებს გაზის (აირის) ორთქლის წნევას შესავსებ რეზერვუარში და ზრდის წნევას დასაცლელ რეზერვუარში, ამგვარად ხდება გნა-ს თხევადი ფაზის „გამოდევნა“ ერთი რეზერვუარიდან მეორეში. გაზის (აირის) შეკუმშვის პროცესი ერთდროულად ზრდის მის ტემპერატურას, რაც ასევე ხელს უწყობს წნევის ზრდას დასაცლელ რეზერვუარში.

5 ბუნებრივი გარემო

5.1 გეოგრაფია

ტერიტორია მდებარეობს სოფელ მისაქციელში, წილკანის გზასთან ახალუბნის მიჯნაზე. მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 516 მეტრზე.

5.2 კლიმატი

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში. მუხრან-საგურამოს ვაკეზე ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ჰაერის საშუალო წლიური ტრემპერატურაა 10,8 °C, იანვრის -1,1 °C. ნალექები 590 მმ წელიწადში.

5.3 ნიადაგი

სოფელ მისაქციელში გავრცელებულია რუხი ყავისფერი, ყავისფერი და ალუვიური . კარბონატული ტუტე იშვიათად მჟავე რეაქციის (ალუვიური) ნიადაგები. მიკრო-მაკრო ელემენტებით მდიდარი ნიადაგის ნაყოფიერი საფარი ხელშემწყობია ბიობრავალფეროვნებისთვის.

6. სოციალური გარემო

საპროექტო ტერიტორია არის ანთროპოგენური ფაქტორებით დატვირთულ რეგიონში, ინდუსტრიულ ზონაში. ტერიტორიის იმდებარედ არ არის დასახლებული ან სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულება, საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოები არანაირ უარყოფით გავლენას არ მოახდენს სოციალურ გარემოზე.

7. გარემოზე მოსალონდელი ზემოქმედების რისკების შესახებ.

7.1ზოგადი დახასიათება

სამუშაოების ჩატარება გარკვეულ წილ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე. საპროექტო არეალზე დეტალური კონცეფციაზე დაყრდნობითი შესაძლოა გამოიკვეთოს გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები. ზემოქმედება შესაძლებელია იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. ინფრასტრუქტურული სამუშაოსგან გამოწვეული ურყოფითი ფაქტორები შესაძლოა გავრცელდეს როგორც საკადასტრო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, ასევე არსებული ტერიტორიის გარეთაც. ნარჩენების გადაზიდვის დროს, მძიმე ტექნიკის მოყვანისას, სამშენებლო მასალის მოწოდებისას.

უარყოფითი ზეგავლენის რისკის ფორმები:

- ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურება
- უარყოფითათ მოქმედი ხმაური და ვიბრაცია
- ნარჩენებით დაბინძურება,
- ბიოლოგიურ გარემოზე უარყოფითათ ზემოქმედება

7.2 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

საპეროექტო ტერიტორიის მიმდებარედ განლაგებულია საწარმოო ობიექტები, დასახლებული უახლოვესი პუნქტიდან დაშორებულია დაახლოებით 1 კილომეტრით, ყველა ეს ფაქტორი ხელისშემწყობია დაბინძურებისთვის. სოფელ მისაქციელში, საპროექტო არეალის მიმდებარედ ჰაერის დაბინძურების ელემეტები ურბანულ გარემოსთან შედარებით

დაბალია. ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო არის საწარმოო ობიექტები. საპროეტო არეალში მყოფი დანადგარების მუშაოება არ გაზრდის ჰაერის დაბინძურებას.

ჰაერის დაბინძურება შესაძლოა გამოიწვიოს საავარიო სიტუაციამ, გაუმართავმა დანადგარებმა. სტიქიურმა მოვლენებმა რომლებიც დააზიანებენ ტერიტორიაზე არსებულ დანადგარებს.

შემარბილებელი ღონისძიებები.

1 ტერიტორიაზე არსებული დანადგარებს უნდა ჩაუტარდება გრაფიკით გათვალისწინებული მონიტორინგი.

2 ტერიტორიაზე განთავსებულია სახანძრო წყლის სამარაგო რეზერვუალი სახანძრო წყლის სამარაგო რეზერვუარი (2ც -50მ3 მოცულობის ჰორიზონტალური, მიწიზედა რეზერვუარები, ჯამური მოცულობით 100მ3); სახანძრო სატუმბო (1ც-მუშა და 1ც- სათადარიგო ტუმბო)

სახანძრო სამარაგო რეზერვუარების შევსება მოხდება, ჯერ შეsყიდული წყლით. შესყიდვა მოხდება სტაბილურად და იმ რაოდენობით რომ ყოველთვის შევსებული იყოს რეზერვუარები. დაგეგმილია წყლის ჭაბულრღილის გაკეთება საიდანაც მოხდება აღნიშნული რეზერვუარების შევსება.

3. ტერიტორიაზე დამონტაჟებულია აქტიური მეხამრიდები, ჩატარებულია მეხამრიდების დადგმის პროექტირების ექსპერტიზის დასკვნა.

ჰაერის ხარისხის ინდექსი

(CO-ს კონცენტრაცია მგ/მ3, სხვა დამბინძურებლის კონცენტრაცია მკგ/მ3)

დამბინძურებლები	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი	ძალიან ცუდი
NO_2 აზოტის დიოქსიდი	0-26	26-40	40-75	75-200	200-1000
O_3 ოზონი	0-80	80-120	120-180	180-240	240-600
SO_2 გოგირდის დიოქსიდი	0-50	50-125	125-350	350-500	500-1250
C_6H_6 ბენზოლი	0-2	2-5	5-7	7-10	10-12
Pb ტყვია	0-0.02	0.02-0.1	0.1-0.5	0.5-1	1-10

(დამბინძურებლის კონცენტრაცია მკგ/მ3)

დამბინძურებლები		ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	ცუდი	ძალიან ცუდი
PM2.5	მტვრის მყარი შეწონილი ნაწილაკები < 2.5 მკ-ზე	0-10	10-20	20-25	25-50	50-800
PM10	მტვრის მყარი შეწონილი ნაწილაკები < 10 მკ-ზე	0-20	20-35	35-50	50-100	100-1200
NO_2	აზოტის დიოქსიდი	0-40	40-100	100-200	200-400	400-1000
O_3	ოზონი	0-80	80-120	120-180	180-240	240-600
SO_2	გოგირდის დიოქსიდი	0-100	100-200	200-350	350-500	500-1250
CO	ნახშირჟანგი	0-5	5-7	7-10	10-15	15-50

7.3 ხმაურისა და ვიბრაციით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება

საქართველოში არაურბანილ და სამრეწველო არეალში ხმაურის გამომწვევი მიზეზები ძირითად არის სამრეწველო დანადგარები, ასევე სატვირთო ავტომობილების მოძრაობა. საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის და ვიბრაციის გამომწვევი მიზეზი იქნება, სატვირთო ავტომობილების მოძრაობა და დანადგარების მუშაობისგან გამოწვეული ვიბრაციები. ვინაიდან საპროექტო არეალი განთავსებულია დასახლებული პუნქტიდან, ასევე საკადასტრო კოდის საზღვრებში არსებული დანადგარები არ იწვევს მაღალ ხმაურს და ვიბრაციას და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ავტომობილები არ გადაადგილდებიან დასახლებულ პუნქტთან ახლოს, ასავე საპროექტო ტერიტორია არის სამრეწველო შენობა ნაგებობების მიმდებარედ, ხმაური და ვიბრაცია უარყოფითად არ იმოქმედებს გარემოზე.

შემარბილებელი ღონისძიებები

1. მონიტორინგი ჩატარდება დანადგარების გამართულობაზე
2. ხმაურით დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით, მომუშავე ავტოტრანსპორტებს ჩაუტარდებათ მონიტორიგი, გამართული იქნება ხმაურის ჩამხჩობი მაყუჩი, თუ ავტომობილს მოუწევს გავლა დასახლებულ პუნქტთან არ იქნება გამოყენებული სიგნალი გარდა საავარიო სიტუაციის თავიდან აცილებისთვის.
3. მძიმე ტექნიკისა და საჭირო დემონტაჟის სამუშაოები, რომლებიც იწვევენ ხმაურს ჩატარდება მხოლოდ სამუშაო დღეების სამუშაო საათებში.

7.4 ნიადაგზე უარყოფითად ზემოქმედების რისკი

მცხეთა-მთიანეთის მიდამოებში გავრცელებულია რუხი ყავისფერი ან ალუვიური ტიპის ნიადაგი. საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის საფარის მოხსნა (A B ჰორიზონტის) მოხდა მხოლოდ იმ ადგილზე სადაც განთასდა მიწისქვეშა ავზები. შენარჩუნებულია ჰუმუსოვანი ფენა იმ ადგილზე სადაც არ ვრცელდება საპროექტო ტერიტორია. საპრეოქტო ტერიტორია არ წარმოადგენს დიდ ლოკაციას.მთავარი გზიდან გაზის საცავამდე, გაყვანილია მოხრეშილი გრუნტის გზა, გზის შეკეთება და მოასფალტება მოხდება სრული სტანდარტის დაცვით, ამიტომ წარმოების დროს შექმნილი ზემოქმედება ნიადაგისთვის არ წარმოადგენს საფრთხეს. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სუსტად არის განვითარებული, იმ ადგილას სადაც განხორცილედა მშენებლობა , გაკეთდა საძირკველი ასევე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნა მხოლოდ იმ ადგილას სადაც აშენდა შენობა ნაგებობა

დაცვისა და მძღოლების მოსასვენებლი სახლი - 107.8 კვმ; და სადაც განთავსდა თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზების ნაგებობა - 806,6 კვ.მ; ნაყოფიერი ფენის მოხსნა მთელ ტერიტორიაზე მოხდა 914,4 კვ,მ ფართობზე მიწის მოცულობის სიმციირის გამო ნიადაგი, ნაოფიერ ფენასტან ერთად დარჩა ადგილზე და გასწორდა მიმდებარე ტერიტორიაზე კ3 გასამწვაენბელ ტერიტორიაზე. ნაყოფიერი ფენა დარჩა ადგილზე. ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ტერიტორიის მობეტონება, ტერიტორიაზე რჩება 1000 კვ მ ნიადაგი დამწვანე საფარი, 107.8 კვმ აშენდება დაცვისა და მძღოლის შენობა 806.6 კვმ დამონტაჟდება თხევადი გაზის მიწისქვეშა ავზების ნაგებობა. დარჩენილ 3094 კვ.მ მოხდება მობეტონება.

შემარბილებელი ღონისძიებები

1. ნიადაგის დაბინძურება შესაძლოა მოხდეს ძრავიანი მანქანების გაუმათაობის შემთხვევაში ამიტომ ყველა ავტომობილი რომელიც მოხვდება საპროეტო ტერიტორიაზე იქნება ექნება გავლილი ტექნიკური დათვალიერება.
2. საპროეტო ტერიტორია შემოღობილია ბლოკის გალავნით, შესაბამისად რაიმე დანადგრისთვის ან ტექნიკისთვის ტერიტორიის გარეთ ნიადაგის დაზიანებას არ ექნება ადგილი.
3. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დარჩება ადგილზე და არ მოხდება მისი განცალკევება. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა მოთავსდა გამწვანების ადგილზე. კ3 ტერიტორიაზე.

7.5 ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი

გრუნტის წყლები ახლოს არის საპროექტო ტერიტორიაზე, ასევე საკადასტრო საზღვრთან ახლოს არის ხელოვნური წყალსატევი, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, საპეროექტო არეალში ჩატარებული სამუშაოები არ იქონიებს გავლენას გრუნტის და ზედაპირულ წყლებზე. ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი არის გაუმართავი ავტომობილის ან ტექნიკის, რომელიც მოძრაობს ხელოვნურ წყალსატევებთან ახლოს.

შემარბილებელი ღონისძიებები

1. არ მოხდება ნიადაგის მოხსნა იმ სისქეზე რომ მიაღწიოს გრუნტის წყლებამდე.
2. ობიექტიდან ან ობექტისკენ მიმავალი ავტომობილს ან ტექნიკას რომელიც გაივლის ახლოს წყალსატევებთან აქვს და ექნება გავლილი ტექნიკური შემოწმება.

7.6 ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

ობიექტი არ მდებარეობს ახლოს დაცულ ტერიტორიასთან, არც ტყესთან არ არის ახლოს ბუნებრიცი ტბა ან დიდი ზომის მდინარე, ტერიტორიაზე არის მხოლოდ ველურად გავრცელებული არაკონსერვაციული სახეობის ბალახოვანი მცენარეები. ტერიტორიასთან ახლოს არ არის ძუძუმწოვარი ფაუნის წარმომადგენლების ბუნებრივი ადგილსამყოფელი.

7.7 ნარჩენების მართვა.

ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე არის მცირედი სამრეწველო ნარჩენი, ეს შესაძლებელია იყოს მომუშავე პერსონალის აღჭურვილობა, (ხელთათმანი, ერთჯერადი ბახილი,) ასევე დანადგარების შეცვლილი ცვეთადი ან დაზინებული ნაწილები, (რეზინი, მილის დამჭერი, ონკანის ჩამკეტი) საყოფაცხოვრებო ნარჩენები (პირადი ჰიგიენის ნივთები, საკვების ნარჩენები, პლასთმასის ბოთლი, პოლიეთილენის პარკები)

ნარჩენების მართვის გეგმა

1. ნებისმიერი დანადგარის რემონტის ან ნაწილის შეცვლის დროს დარჩენილი გამოუსადეგარი ნივთები მოხდება სპეციალური კონტეინერში რომელიც გაიგზავნება სპეციალურ დაწესებულებაში.
2. შენობის ან გალავნის შეკეთების შემთხვევაში უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების დროულად გატანა.
3. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება სპეციალურ კონტეინერში, და ყოველდღიურ რეჟიმში მოხდება მისი გატანა ტერიტორიიდა, და სისტემური მომსახურეობის საშუალებით (დასუფთავების სამსახურის დახმარებით) მოხდება ნაგავსარელზე

7.8 უარყოფითი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე

ობიექტის ტერიტორია არის მცირე ზომის შესაბამისად, განთავსებულია სამეწარმეო ზონაში, მოსახლეობიდან არის 1 კოლომეტრზე მეტ მანძილზე. ტერიტორიასთან ახლოს არ არის სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულება, არ არის ტურისტური გარემო, არ ხორციელდება რაიმე ხალხმრავალი ღონისძიებები, ობიექტი რაიმე უარყოფით ზემოქმედებას არ ახდენს სოციალურ გარემოზე.

7.9ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები

ობიექტზე განვითარებული საქმიანობის დროს უარყოფითი შედეგი შესაძლოა გახდეს მიზეზი უბედური შემთხვევის. ნებისმიერი საქმიანობა და მოქმედება უნდა იყოს გაკონტროლებული და ექვემდებარებოდეს დადგენილ წესებს:

ავტო ცისტერნიდან რეზერვუარში და რეზერვუარებიდან ავტოცისტერნაში გათხევადებული აირის გადმოსხმა-ჩასხმის ტექნოლოგია

1. ავტოცისტერნიდან გათხევადებული აირის გადმოსხმაზე მომუშავე პირებს უნდა ეცვათ ეცვათ დადგენილი ნიმუშის სპეციალური ტანსაცმელი, თავზე უნდა ეხუროთ სპეციალური თავსაბურველი და ეკეთოთ დამცავი სათვალე. სპეცტანსაცმელის სახელო მჭიდროდ უნდა იყოს შეკრული.

2. ავტოცისტერნიდან გათხევადებული აირის მიღებისას ოსტატი ვალდებულია:

1). აკრძალოს ყველა საცეცხლე სამშაო ბაზის მთელ ტერიტორიაზე;

2). შეამოწმოს დაზიანებაზე ავტოცისტერნის კორპუსი, გამართულია თუ არა საკეტი და საკონტროლო არმატურა, პლომბის მოხსნის შემდეგ შეამოწმოს დამცავი სარქველი.და გააღოს ის;

3). შეამოწმოს გაზის არსებობა და დონე ცისტერნაში საკონტროლო ვენტილების მიხედვით;

4). დარწმუნდეს, რომ არ არის ცისტერნაში წყალი წყლის გასაშვები ვენტილის მეშვეობით;

5). დამიწდეს ავტო ცისტერნა;

6). გამოიფინის ნიშნები, რომლებიც კრძალავენ სხვა ტექნიკის მოძრაობას ბაზაზე და ცისტერნასთან მიახლოებას;

3. ოპერატორი ვალდებულია:

1). მოხსნას დამხშობი საცობები კუთხის ვანტილებს, რომლებიც თხევადი ფაზის გადმოსასხმელადაა გამიზნული და ორთქლის ფაზის კუთხის ვენტილს;

2). შეუერთოს მოქნილი რეზინაქსოვილის სახელო თხევადი ფაზის შესაბამის ვენტილს ცისტერნის ლუკის სახურავზე, ესტაკადის მილგაყვანილობაში თხევადი ფაზის მისაღებად;

3). შეუერთოს ესტაკადის ორთქლის ფაზის მოქნილი რეზინაქსოვილის სახელო ორთქლის ფაზის შესაბამის ვენტილს ცისტერნის ლუქის სახურავზე ესტაკადის მილგაყვანილობაში ორთქლის ფაზის მისაღებად;

4). გახსნას საჭირო საკვალთები გადმოსასხმელი ესტაკადის ორთქლისა და თხევადი ფაზის კოლექტორებზე;

5). გახსნას საჭირო საკვალთები ორთქლისა და თხევადი ფაზის ესტაკადის დგარმილებზე;

6). გახსნას საჭირო საკვალთები რეზერვუარების პარკის ორთქლისა და თხევადი ფაზის კოლექტორებზე;

7). გახსნას საკვალთები თხევადი ფაზის ასავსებ მილგაყვანილობაზე და მიმღები რეზერვუარის ორთქლის ფაზის მილგაყვანილობაზე;

8). ნელ-ნელა გახსნას ჯერ თხევადი ფაზის ვენტილი ცისტერნის ლუქის სახურავზე, შემდეგ კი ორთქლის ფაზის ვენტილი.

4. სატუმბო - საკომპრესოროს მემანქანე ვალდებულია:

1). გახსნას საჭირო საკვალთები;

2). ჩართოს კომპრესორი;

3). კომპრესორმა გაზის სრულ გადმოსხმამდე უნდა შექმნას და შეინარჩუნოს წნევის ვარდნილობა 2,0 – 2,5 კგძ/სმ2 ავტოცისტერნასა და ასავსებ რეზერვუარს შორის;

5. ავტოცისტერნიდან გაზის გადმოსხმის დასრულების შემდეგ აუცილებელია:

1). მიეცეს სიგნალი სატუმბო - საკომპრესორო განყოფილებას კომპრესორის გასაჩერებლად;

2). დაიკეტოს ცისტერნის ლუქის თხევადი ფაზის კუთხის ვენტილები;

3). დაიკეტოს ვენტილები ესტაკადის თხევადი ფაზის დგარებზე;

4). დაიკეტოს საკვალთი მიმღებ რეზერვუარის თხევადი ფაზის ასავსებ მილგავანილობაზე;

5). მიეცეს სიგნალი სატუმბო - საკომპრესორო განყოფილებას, ორთქლის ფაზის ავტო ცისტერნიდან ასაწოვად კომპრესორის ჩასართავად;

6). მოახდინოს ორთქლის ფაზის შეწოვა ავტო ცისტერნიდან 0,5 კგძ/სმ2 წნევამდე;

7). ორთქლის ფაზის შეწოვის დასრულების შემდეგ ავტოცისტერნიდან, მიეცეს სიგნალი სატუმბო - საკომპრესორო განყოფილებას კომპრესორის გასაჩერებლად;

8). დაიკეტოს ორთქლის ფაზის შესაბამისი ვენტილები ავტო ცისტერნაზე, ესტაკადის დგარებზე და მიმღებ რეზერვუარზე;

9). გაიშვას მოქნილი რეზინაქსოვილის სახელოებში დარჩენილი გაზი;

10). გამოირთოს მოქნილი რეზინაქსოვილის სახელოები ავტოცისტერნის კუთხის ვენტილების მილყელებიდან;

11). დაიხშოს საცობებით კუთხის ვენტილებიდა მათი გერმეტულობა შემოწმდეს საპნის ემულსიით;

12). გამოირთოს ცისტერნის დამიწება.

6. ავტოცისტერნის გავსების ოპერაცია:

1). აივსოს ავტოცისტერნა „გათხევადებული აირით, ავტო ცისტერნების გავსების ინსტრუქციის“ შესაბამისად;

2). ავსების დროს თვალყური ადევნოს ცისტერნაშე სითხის დონეს, არ დაუშვას მისი გადავსება;

3). თვალყური ადევნოს გაზის წნევის რამპაზე დაყენებული მანომეტრის მიხედვით, არ დაუშვას წნევის აწევა 16 კგძ/სმ2 - ზე მაღლა;

8.დასკვნა

საპროექტო ტერიტორიაზე გახორციელებული სამუშაოს სწორად ჩატარების და ყველა რეგულაციის დაცვის შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედება არ იქნება უარყოფითი, ტერიტორია შემოსაზღვრულია ბეტონის გალავნით, დაშორებულია საცხოვრებელ ტერიტორიას ასევე არ არის ახლოს ბუნებრივ ჰაბიტატებთან.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის

KA000033065557019

№ **ს-2389** **11 / სექტემბერი / 2019 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელის (წილკნის გზასთან, ახალუბნის მიჯნასთან) ტერიტორიაზე, მოქ ცისმარი ფხაკაძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, „972 მ3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავი"-ს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებარვთის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების" მე-8 და მე-9 მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" ,"საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 103 - 105-ე მუხლების, მოქ. ცისმარი ფხაკაძის (პ/ნ 60001052714) მინდობილი პირის ბესიკ ბასიაშვილის (პ/ნ 01007002415) განცხადებების (#1-14104 22.08.2019წ; #1-14954 05.09.2019წ) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელის (წილკნის გზასთან, ახალუბნის მიჯნასთან) ტერიტორიაზე, მოქ ცისმარი ფხაკაძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, „972 მ^3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავი"-ს მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

მიწის ნაკვეთი:

- მისამართი: მცხეთა, სოფელი მისაქციელი, წილკნის გზასთან, ახალუბნის მიჯნასთან
- მესაკუთრე(ები): ცისმარი ფხაკაძე (პ/ნ 60001052714)

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ცისმარი ფხაკაძის მინდობილი პირი ბესიკ ბასიაშვილი (პ/ნ 01007002415)
- მისამართი: ქ.თბილისი, აგლაძის ქუჩა #38, ბინა 97

საპროექტო ობიექტი

- „972 მ^3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავი"

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

I. **ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**
   - **საკადასტრო კოდი: 72.03.31.120**

- **დაზუსტებული ფართობი: 5007 კვ.მ.**
- **დანიშნულება:** ***სასოფლო-სამეურნეო***
- **ქალაქთმშენებლობითი ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:**

  - ფუნქციური ზონა: ინდუსტრიული ზონა (იზ)
  - სამშენებლო ქვეზონა: საწარმოო ზონა (იზ-1)
  - კულტურული მემკვიდრეობის ზონა:

II. მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების ძირითადი მოთხოვნები

1. სამშენებლო განვითარების მიზანი

- საპროექტოობიექტი: „972 m^3 მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავი";
- ფუნქცია/დანიშნულება: კომერციული;

2. განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები

კონკრეტული სამშენებლო ქვეზონის პარამეტრები: საწარმოო ზონა (იზ-1)

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,7	კოეფიციენტი
კ-2		–	კოეფიციენტი
კ-3		0,2	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		12	მეტრი
შენიშვნა		–	

- *კოეფიციენტების ანგარიშის არცერთი ზონის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს.*

3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა:

1. განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: ----------
2. განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: ----------

- უკანა ეზო: **განისაზღვროს დანართის შესაბამისად;**

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის და მათი ნაწილების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში" და "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში".

III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განვითარების მიმართ:

1. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების მოქმედების ვადაა ბრძანების გამოცემიდან ანუ მისი დამტკიცებიდან 3 წელი - სანებართვო პირობების II სტადიის დაწყებამდე.
2. ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა:----------
3. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება: ----------
4. **ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება:**
   - მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვრებში საჭიროა კეთილმოეწყოს გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მაჩვენებლის დაცვით;
   - მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან ამოძირკვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნას შესაბამისი ნებართვა მცხეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურისგან.

5. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფა:

ნებართვის გაცემის თითოეულ სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილ იქნას შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

6. **მშენებლობის ნებართვის გაცემამდე წარმოდგენილ იქნას ტერიტორიის ზედაპირული არქეოლოგიური კვლევა.**
7. **მშენებლობის დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე მოჭრილი მიწის სასარგებლო ფენა დასაწყობებულ იქნას ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე.**
8. **მშენებლობის ნებართვის მისაღებად განაცხადის შეტანამდე აუცილებელია აღნიშნულ მიწის ნაკვეთს შეეცვალოს დანიშნულება, სასოფლო-სამეურნეოდან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებად.**

· კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში" და "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში".

IV. ზოგადი მითითებები და რეკომენდაციები:

1. **არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს**:

· 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებით დამტკიცებული ,,შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების" ტექნიკური რეგლამენტი. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე (რომლის მოთხოვნებიც გათვალისწინებულ იქნეს საჭიროებისამებრ). (ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან)

· ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები (არსებობის შემთხვევაში) – დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; მათი გადატანის საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს ცნობა/თანხმობა შესაბამისი სამსახურებიდან/მესაკუთრისგან;

· ტერიტორიის გამწვანება;

· გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

· ხანმედეგი და კარგი გამომსახველობის სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები, ხოლო სახურავზე — საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი მასალა;

· არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა და კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში" და "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში".

2. **მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნეს**:

· მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე (საჭიროების შემთხვევაში);

· არსებობის შემთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;

· მშენებლობის ორგანიზების პროექტის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის ეტაპების ხანგრძლივობის გათვალისწინებით;

· მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა (საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით).

· საინფორმაციო დაფის (ბანერის) შესაბამისად განახლება და ფოტოფიქსაცია (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან).

· არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა იხილეთ კონკრეტული წესები იხილეთ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესსა და პირობებში" და "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში".

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	გივი გიუტაშვილი

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **72.03.31.120**
განცხადების ნომერი: **882017759242**
მომზადების თარიღი: **25/08/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **სასოფლო-საშეურნეო**
ფართობი: **5007 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების წერილი

მისაქციელში წილკნის გზასთან, ახალუბნის მიჯნაზე ჩემს ისლამ ახმადოვის კუთვნილებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი 72.03.31.120 ტერიტორიაზე ეწყობა გაზის საცავი, მშენებლობა მიმდინარეობს პროექტით დაგეგმილ ფარგლებში. პროექტთან ერთად მოსამზადებელია გარემოსდაცვითი შეფასება, სკრინინგი.

თანახმა ვარ საკადასტრო საზღვრებში დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით მომზადდეს სკრინინგის ანგარიში.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ სკრინინგის ანგარიშის მომზადებაზე თანახმა ვიყავი მაშინვე, რაც შპს „მიოილ"-ს (ს.ნ. 436046084) ეცნობა აღნიშნული ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან.

ისლამ ახმადოვ (დაბ. 13/08/1996) , პასპორტის ნომერი C/N: 76 1515283, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი 136102125

ხელმოწერა

15.09.2022

თანდართული ფაილები

დანართი 1 გაზის საცავის პროექტი

დანართი 2 მშენებლის ნებართვს ვადის გაგრძელება

დანართი3 გაზის რეზერვუარების GPS კოორდინატები

დანართი4 საკანაიზაციო ჭის მოწყობის თანხმობა

დანართი 5 გენგეგმაზე დატანილი მანძილები